სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N15
(გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქალაქი ფოთი **01 ივლისი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **ააიპ ,,სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სახოკიას** სახით და მეორეს მხრივ **სს ,,გეფა" ს/კ 201991229, წარმოდგენილი მისი საბითუმო განყოფილების და სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორი დავით სულაბერიძის** სახით (შემდგომში ,,მომწოდებელი"), შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის,მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 17 აგვისტოსN 13 ბრძანების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება") შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი
1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საქონლის შესყიდვა, **დანართი N1 შესაბამისად.**
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის **CPV კოდია:**

CPV 33600000 – ფარმაცევტული პროდუქტები

CPV 33141111 - წებოვანი შესახვევის მასალები

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **596.40 (ხუთასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 40თეთრი)**- ლარს.
2.2 ხელშეკრულება მოიცავს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
2.3 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2022 წლის **ადგილობრივი ბიუჯეტიდან** გამოყოფილი ასიგნებების საფუძველზე.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა
1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 29 ივლისის ჩათვლით.**
2. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი
1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება - ჩაბარების წესი
5.1 შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ ,,სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლის დირექტორი რომელიც ხელს აწერს ააიპ ,,სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
5.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა
6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1.უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.3.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
7.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.3.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
8.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
8.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;**
8.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 398-ემუხლითდადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%-ზე მეტი** ოდენობით გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას დ აჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. სხვა პირობები
11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13. მხარეთაიურიდიულიმისამართებიდარეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის რაგბის სპორტული სკოლის დირექტორი

NNLE Out of school sports and educational institution - Rugby sports school
Подписано цифровой подписью: NNLE Out of school sports and educational institution - Rugby sports school
Дата: 2022.07.01 14:34:59 +04'00'

ლევან სახოკია

მის: ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ. №-4
ს/კ № 215136779
ბანკის სახელმწიფო ხაზინა
L TRESGE22
ა.ა 74266

,,მიმწოდებელი''

სს ,,გეფა"-ს
საბითუმო განყოფილების და სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორი

დავით სულაბერიძის

მის: ქ. თბილისი ბელიაშვილის #142
სს ,,თიბისი" ბანკი''
ბ/კ TBCBGE 22
ა/ა GE47TB7079136020100017
ს/კ №201991229

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერათ.ფასი	საქონლის ფასი (ლარი)
1	დიკლობერი ამპულა #5	33600000	ცალი	1	18.999	18.999
2	იოდი სპ ხსნარი	33600000	ცალი	5	1.101	5.505
3	ბრილიანტის მწვანე	33600000	ცალი	2	0.901	1.802
4	სამედიცინო სპირტი 100მლ	33600000	ცალი	5	2.199	10.995
5	მწვანე მ-მო 20გრ	33600000	ცალი	1	7.999	7.999
6	სტრეპტოციტი მ-მო 25გრ	33600000	ცალი	2	2.249	4.498
7	ბამბა 50გრ	33600000	ცალი	5	0.851	4.256
8	ვოლტარენი ტაბ 50მგ	33600000	ცალი	1.500	14.851	22.276
9	ტროქსერტინი გელი 40გრ	33600000	ცალი	2	5.451	10.902
10	ნოშ-პა ტაბ#100	33600000	ცალი	1	19.600	19.000
11	ციტრამონის ტაბ#10	33600000	ცალი	10	0.399	3.99
12	ნიმესილი პაკ#30	33600000	ცალი	1	22.01	22.01
13	მიდოკალმი ამპულა #5	33600000	ცალი	2	22.551	45.102
14	მიდოკალი ტაბ 150მგ#30	33600000	ცალი	0.333	22.551	7.509
15	**პერსკინდოლი კლასიკ გელი 100მლ**	33600000	ცალი	4	23.851	95.404
16	ტრაუმელი ;;S“ კრემი 50გრ	33600000	ცალი	3	30.283	90.849
17	ლიოტონი გელი 50გრ	33600000	ცალი	3	34.900	104.70
18	ალგესტიონი გელი 40გრ	33600000	ცალი	3	13.999	41.998
19	ლეიკოპლასტირი ,,სტარბანტი” #10	33141111	ცალი	10	0.449	4.49
20	ლეიკო სტერილური 9სმ/25სმ გამჭირვალე	33141111	ცალი	5	3.449	17.245
21	ლეიკო სტერილური 9სმ/10სმ გამჭირვალე	33141111	ცალი	5	1.391	6.955
22	**ტრიდემი კრემი 15გრ**	33600000	ცალი	2	18.949	37.949
23	**კასტელანი უფერო 25მლ**	33600000	ცალი	5	2.389	11.945
		ჯამი				596.40

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **596.40 (ხუთასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 40თეთრი)** ლარს.

„შემსყიდველი”

ქალაქ ფოთის რაგბის სპორტული
სკოლის დირექტორი

ლევან სახოკია

მის: ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ. №-4
ს/კ № 215136779
ბანკის სახელმწიფო ხაზინა
L TRESGE22
ა.ა 74266

NNLE Out of school sports and educational institution - Rugby sports school

Подписано цифровой подписью: NNLE Out of school sports and educational institution - Rugby sports school
Дата: 2022.07.01 14:35:24 +04'00'

„მიმწოდებელი”

სს „გეფა“-ს
საბითუმო განყოფილების და
სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის
დირექტორი

დავით სულაბერიძის

მის: ქ. თბილისი ბელიაშვილის #142
სს „თიბისი“ ბანკი”
ბ/კ TBCBGE 22
ა/ა GE47TB7079136020100017
ს/კ №201991229

GEPHA JSC

Digitally signed by GEPHA JSC
Date: 2022.07.01 13:55:36 +04'00'